ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 მარტის მორიგი

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 მარტის მორიგი სხდომის

ოქმი N4

2024 წლის 04 მარტი

9 აპრილის ქუჩა #15

დაბა ხარაგაული

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილიო, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, ნანა გორგაძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 31 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

დავით დევდარიანი მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე,

კახაბერ გოლუბიანი მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

პეტრე შარიქაძე მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ივანე ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ნ. კაპანაძე გაზეთი ჩემი იმერეთი ჟურნალისტი

თ. მაღრაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი.

მომხრე 30

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილი ანგარიში კომისიის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის შალვა ლურსმანაშვილის წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი.

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ანგარიში სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ო. გაგოშიძემ, ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ, რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ გამოგიყენებიათ, სამსახურის მოხელეთა მიმართ ადმინისტრაციული სასჯელი

კ. გოლუბიანმა მომხსენებელმა უპასუხა, რომ სამსახურში არა მგრამ მერიაში იყო 2 შემთხვევა

თ. ავალიშვილმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა ადმინისტრაციული სამსახურის მოადგილის ვაკანსიასთან დაკავშირებით და ასევე პირველ კლასელთა

უფასო კვების საკითხზე ფრაქციის მიერ დასმული წინადადებაზე რეაგირების შესახებ, თუ მიიღეს წერილი პასუხი განათლების სამინისტროდან 2 თვეზე მეტია ველოდებით

კ. გოლუბიანმა უპასუხა, რომ მოადგილის შტატზე უახლოეს დღეებში გამოცხადდება კონკურსი, რაც შეეხება წერილის პასუხს გადავამოწმებ და გაცნობებთ,

პ. გოგლაძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ წინა წლებში ადმინისტრაციული სამსახურის წინაშე იყო შენიშვნები ახლა ეს გამოსწორებულია და ვაყენებ წინადადებას სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის პაატა გოგოლაძის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი 5

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ანგარიში სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ბესიკ კვირიკაშვილმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები 100% არის შესრულებული, სტიქიის კუთხით 11 პროექტი განხორციელდა, 23 მოქალაქეს გადაეცა სახურავი და სხვადასხვა საშენი მასალა, აღადგინეს დანგრეული სახლი ღორეშაში, განიხილა 128 მოქალაქის განცხადება, 28 ოჯახი გაყვანილი იქნა ქირით,123 მლნ. იხარჯება ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, 26 % გაიზრდება ლიმიტი ეს ყველაფერი სამსახურის საქმიანობის დადებით ასპექტზე მიუთითებს, კომისია აყენებს წინადადება სამსახურის საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

მანანა ბარბაქაძემ, სხდომის თავმჯდომარემ განმარტება მოითხოვა რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით კერძოდ:

- დამატებით 3 პროექტის დაფინანსებაზე,
- წინა წლის ეკონომიის თანხები სად მიიმართება,
- სამოქალაქო ბიუჯეტის 6 პროექტი

დასმულ შეკითხვებს უპასუხა მერის პირველმა მოადგილემ ვ. ჭიპაშვილმა, მან განმარტა რომ მთავრობა პირველ საკითხთან დაკავშირებით გვპირდება დამატებით დაფინანსებას, ეკონომიის თანხები მოხმარდება სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებს და სამოქალაქო პროექტების განხორციელებს საფრთხე არ დაემუქრება.

ქეთევან ზუმბაძემ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ დასვა რამდენიმე შეკითხვა:

- როდის დასრულდება კინოთეატრის კედლის რეაბილიტაცია და სახურავის შეცვლა თუ იგეგმება,
- კიცხში და დაბაში მე-3 სკოლაში ჩამოდის წყალი,
- მაინტერესებს წყალაფორეთის სკოლის ბედი .

შეკითხვებს უპასუხეს მერის მოადგილემ დ. დევდარიანმა და სამსახურის უფროსმა პ. შარიქაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბესიკ კვირიკაშვილის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 7

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**